ახალი

განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

განთიადი

86 წელი თქვენთან ერთად!

2018 წელი 28 თებერვალი № 2 № 8131

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

თსუ 100 1918-2018

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე

გვ3.

საჯარო განხილვა - თეძმის წყალსაცავი

გვ2.

შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში

გვ2.

მარიამ ჯამბაკურ-ციბულიანი და ქართული უნივერსიტეტი

გვ3-4.

ოთოლოლორი - ხალხური ციბრძნე

გვ7.

რა უნყობს ხელს ადგილობრივ ეკონომიკის ზრდას

გვ6.

მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მორიგი სხდომა

ჭაბუკთა პირველობა ძიუდოში

გვ9.

დიდი მეცნიერი და უნივერსიტეტის ფუძემდებელი

გვ5.

კასპის სპორტულ კომპლექსში

გვ10.

ერთაწმინდის ცაბარი და მისი ეპოქა

გვ4.

ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი

გვ2.

„ეჯალონი„ კასპში

"მინდა, სამყარო ერთად შევკრა"

გვ5.



P.S. „გაზაფხულზე შენთან მოცვლაც ლაკვაპირებ„

„ახალი განთიადი„ იძებნა ცალინდელი ცხოვრების ჩვენი ფოტო-მასალის შეცვლამნელოვანი. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - ლაფლოვით თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ცალინდელი ლა ცახალოანი ფოტოები!

საჯარო განხილვა - თეძმის წყალსაცავი

კასპის კულტურის ცენტრში კასპის მუნიციპალიტეტში მდინარე თეძამზე წყალსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პრეზენტაცია შედგა. შეხვედრა საქართველოს პარლამენტში კასპის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი მეზურნიშვილის ინიციატივით გაიმართა.

შპს "საქართველოს მელიორაცია," კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმავს მდინარე თეძმის სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებას.

წყალსაცავის საპროექტო მოცულობა იქნება 12.0 მლნმ3, საიდანაც 10,0 მლნმ3 სასარგებლო მოცულობაა. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება 7 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე.

ჰიდროკვანძის მოწყობა დაგეგმილია სოფელ ჩაჩუბეთსა და სოფელ რკონს შორის შერჩეულ ტერიტორიაზე, ჩაჩუბეთიდან დაახლოებით 2.1 კმ-ის დაცილებით.

შპს "საქართველოს მელიორაციის" დაკვეთით წყალსაცავის მშენებლობის და ექსპლუატაციის დეტალური პროექტი მომზადებულია უკრაინული კომპანიის მიერ, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში მომზადებულია შპს "გამაკონსალტინგი"-ს მიერ, რომლის წარმომადგენელმა დეტალურად წარმოადგინა ანგარიში.

ანგარიშის მომზადების პროცესში შპს "გამაკონსალტინგი"-ს სპეციალისტთა ჯგუფმა შეისწავლა საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მახასიათებლები.

აღნიშნული პროექტის ანგარიშის მომზადების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ.

შეხვედრის დასასრულს დამსწრეთა შეკითხვებს შპს "გამაკონსალტინგი"-ს წარმომადგენელმა უპასუხა.

მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მორიგი სხდომა

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა.

კომისია უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის 376 დადგენილების შესაბამისად.

9 წევრისგან შემდგარი კომისიის თავმჯდომარეა კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე თამაზ ტატანაშვილი.

აღნიშნული კომისია 2016 წლის 1 აგვისტოდან ფუნქციონირებს.

დალი კორკოლაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში

მუნიციპალური განვითარების პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას ორგანიზაცია - ecorys-მა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში შეხვედრა - ტრენინგი გამართა.

შეხვედრაზე იმსჯელეს სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვის და კაპიტალური საინვესტიციო გეგმების შემუშავების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ ორგანიზაციის სივრცითი დაგეგმვის მთავარი ექსპერტი ალექსანდრა ჩუჟევსკა და თბილისის ოფისის მენეჯერი მაია თავაძე.

,,ეტალონი,, კასპში

კასპის კულტურის ცენტრში საქართველოს ეროვნული ინტელექტ - ჩემპიონატი ,,ეტალონი" გაიმართა, რომელშიც კასპის მუნიციპალიტეტის 29 საჯარო სკოლის 81 მოსწავლე მონაწილეობდა.

კასპის "ეტალონი მოსწავლის" (2017 - 2018 სასწავლო წელი) ტიტული სასირეთის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ მაკა მაისურაძემ მოიპოვა და ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის "ეტალონის" ფინალის ღირსეული მონაწილე გახდა.

ეტალონის იდეის ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა კასპის მესამე საჯარო სკოლის 2016-2017 სასწავლო წლის ეტალონ მოსწავლეს ბაჩანა ბალიაშვილს საჩუქარი გადასცა, სკოლის დირექტორს მარინა ქონიაშვილს კი ეტალონის პარტნიორის ლიტვის საელჩოს მიერ გამოგზავნილი სპეციალური წიგნი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან ასი წლის იუბილეს.

საიუბილეო სესიაზე მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის მუშაკები, საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები, კასპის საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ჩვენი ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სესიის დაწყებამდე მოწვეულმა სტუმრებმა და სტუდენტი-ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა უდიდესი ინტერესით დაათვალიერეს მუზეუმის საგამოფენო დარბაზში სპეციალურად ამ დღისთვის გამოფენილი დიდი ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, აგრეთვე დედა უნივერსიტეტის დაარსების ამსახველი ფოტო-დოკუმენტური მასალა, აქვე იყო წარმოდგენილი მუზეუმში დაცული უიშვიათესი სამეცნიერო ლიტერატურა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა, მან გულითადი მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისათვის და ყველას მიულოცა ქართველთათვის საამაყო და სახელოვანი თარიღი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების ასი წლის იუბილე.

მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის ლიანა ბალხამიშვილის ვრცელი და საინტერესო მოხსენება "ღვაწლმოსილი მამულიშვილი" სესიის მონაწილეებს გააცნო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა თეა ბიჭიკაშვილმა.

დამსწრე საზოგადოების წინაშე საინტერესო მოხსენებით – "ვინ იყო ნიკო ცხვედაძე", გამოვიდა მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ხატია ხორგუაშვილი.

ვრცელი მოხსენება "მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და ქართული უნივერსიტეტი", – სესიის მონაწილეებს გააცნო ლამისყანის სახლ-მუზეუმის დირექტორმა სოფიო ფავლენიშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებისათვის ჯერ უცნობი ფაქტები მომხსენებელმა გააცნო შეკრებილ საზოგადოებას. ალბათ აღნიშნულით აიხსნება მსმენელთა განსაკუთრებული ინტერესი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის პიროვნების, მისი ჯერ უცნობი საქმიანობისადმი.

წაკითხულ მოხსენებებს შორის არანაკლებ საინტერესო და აქტუალური გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ხოვლის სახლ-მუზეუმის დირექტორის მარინე კოშაძის მოხსენება "ივანე ჯავახიშვილი და სოფელი ხოვლე".

ასეთი მრავალმხრივი, ამომწურავი და შთამბეჭდავი მოხსენებები, რომელიც უნივერსიტეტის იუბილეს მიეძღვნა, რა თქმა უნდა, დადებითად შეაფასა დამსწრე საზოგადოებამ და ეს სადღესასწაულო განწყობა, სულისკვეთება ბევრმა გამომსვლელმაც გააჟღერა, მათ შორის იყვნენ: მხატვარი იორამ იმედაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები რუსუდან ხეჩუაშვილი, მანანა ყაბანაშვილი, ჟურნალისტი ამირან ტალახაძე, პედაგოგი თამარ გაბოძე და სხვები.

დამსწრე საზოგადოების წინაშე საკუთარი პოეზიით წარდგა პოეტი ზვიად ნავროზაშვილი. ცნობილი ქართველი პოეტის იორამ ქემერტელიძის ლექსი, "ივანე ჯავახიშვილი" მხატვრულად წაიკითხა კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლემ მაია თაბუაშვილმა... სესიის მსვლელობისას დარბაზში ყურადღებას იქცევდა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, აგრეთვე, ქართული უნივერსიტეტის დაარსების ამსახველი ვიდეორგოლი, რომელიც მოამზადეს მუზეუმის თანამშრომლებმა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და ქართული უნივერსიტეტი

"... სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება დიდი საქმე; გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს; უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავისი ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავისი ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც". – ამ სიტყვებით მიმართა ივანე ჯავახიშვილმა დამსწრე საზოგადოებას 1938 წლის 25 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლის იუბილეზე.

დღეს ჩვენ უნივერსიტეტის 100 წლისთავს აღვნიშნავთ და დიდ ივანესთან ერთად იმ ადამიანებს, ვინც გვერდში ედგნენ მას საშვილიშვილო ეროვნულ საქმეში. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ივანე ჯავახიშვილის მეუღლის ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის (1884-1969) მამიდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941) – მეცენატი, მთარგმნელი, მრავალი საქველმოქმედო წამოწყების ინიციატორი და საზოგადოების ხელმძღვანელი.

თეკლა ბატონიშვილის (1776-1846) შვილიშვილს, რომანტიკოსი პოეტის ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის (1812-1890) ასულს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს მე-19 საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე ქართველ ქალთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა.

აი, რას წერს მარიამის შესახებ მისი თანამედროვე ელისაბედ ერისთავი, – ასული 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის ელიზბარ ერისთავისა: "დამლევ მეცხრამეტე საუკუნეში არავინ არ იყო მაგაზე აღზრდილი, მშვენიერი და დიდი საქმიანი ადამიანი".

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მდიდარ საარქივო მასალებში მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დამადასტურებელ მრავალ დოკუმენტს ვნახავთ: ქშწკგ საზ-ბა, ვაჟთა ქართული (სათავადაზნაურო) სკოლის კომიტეტი, სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტი, სკოლები გორის მაზრის სოფლებში ატენსა და ლამისყანაში, მასწავლებელთა და აღმზრდელთა საზოგადოება, ქალთა ქართული სკოლა, ქალთა კერძო სკოლა, ქალთა გიმნაზია, ახალი თეატრის აღმდგენი კომიტეტი, სათავადაზნაურო გიმნაზიასთან არსებული უფასო სასადილოს პატრონობა და კიდევ რამდენი...

1897 წელს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა შვეციიდან ჩამოიტანა "სკოლების შენობების და



პლანების ალბომი". ეს ალბომი მან გადასცა ნიკო ცხვედაძეს. მარიამის ჩამოტანილი გეგმით აიგო ქართული გიმნაზიის შენობა, ის შენობა 1918 წელს უნივერსიტეტი რომ გაიხსნა.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ გადმოცემა გვეუბნება, მიწა, რომელზეც უნივერსიტეტი დგას, მარიამმა და მისმა მეუღლემ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანმა იყიდესო. ლამისყანელი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის (1847-1919) შესახებ ივანე ჯავახიშვილს არაერთხელ უთქვამს: "ბიძია საშა მამასავით მიყვარსო". სწორედ ამ "ბიძია საშამ" აჩუქა ივანე ჯავახიშვილს 1913 წელს ლამისყანის სასახლის საგვარეულო წიგნსაცავში დაცული "ქართლის ცხოვრების" ანა დედოფლისეული (XV ს.) ხელნაწერი.

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდა 1917 წლის გასაფხულზე. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 1917 წლის 10 მაისით დათარიღებული მიმართვა ქართველ ქალთა სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისადმი: "გთხოვთ, მობრძანდეთ და დაესწროთ კრებას, სადაც ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხულ იქნება მოხსენება ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საჭიროების შესახებ".

ორი დღის შემდეგ, 12 მაისს პეტრე მელიქიშვილის ბინაზე იკრიბებიან უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებლები და აყალიბებენ "ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის" საზოგადოებას, რომელმაც მუშაობა ფართოდ გაშალა. 3 ოქტომბრის საერთო კრებაზე ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა ის პრაქტიკული ღონისძიებები, რაც უნივერსიტეტის დაარსების საფუძველი გახდებოდა. ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება, რომლის კომიტეტის წევრიც გახდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი – ბოლომდე უღალატო თანამდგომი ივანე ჯავახიშვილისა.

1917 წლის 6 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილმა თავისი ბიოგრაფიის ყველაზე მძიმე დღე უწოდა; ყველაფერი კინაღამ რომ წყალში ჩაიყარა.

1917 წლის 6 დეკემბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობას ივანე ჯავახიშვილმა სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა. კრების მონაწილეები დიდხანს კამათობდნენ უნივერსიტეტის გახსნის ზუსტ თარიღზე. ივანე ჯავახიშვილი 1918 წლის იანვარს ასახელებდა. უმრავლესობა, მათ შორის პეტრე მელიქიშვილიც იმ აზრს ადგა, რომ არც ნივთიერი მდგომარეობა და არც ტექნიკური ვითარება უნივერსიტეტის მოწყობისა, აგრეთვე პოლიტიკური კონიუნქტურა –

დასასრული იხ. მე-4 გვ.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და ქართული უნივერსიტეტი

***დასასრული**

საშუალებას არ იძლევა, რომ უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნას. უფრო ხელსაყრელია უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის სექტემბრამდის გადაიდოს. კრების უმრავლესობამ ამ აზრს დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ნინო ანთაძე-ნაკაშიძისა (1872-1963) და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი.

აი, რას წერს 6 დეკემბრის სხდომის შესახებ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი: "1917 წ. მივდიოდით ვანო ჯავახიშვილი და მე უკანასკნელ სხდომაზე "ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებისა". ვანო როგორც ინიციატორი უნივერსიტეტის შექმნისა, – პორტფელი სავსე ქაღალდებით, ვრცელი მოხსენებით, მე როგორც წევრი კომიტეტისა.

ბნელი საღამო იყო, ჩვენ გულში კი სიხარული თამაშობდა, რადგანაც სრული იმედი გვქონდა, რომ მოხსენების შემდეგ გადაწყდებოდა უახლოესი დრო უნივერსიტეტის გახსნისა: ყველაფერი მზად იყო: ვანოს დაწვრილებით ჰქონდა შედგენილი მოხსენება, ხარჯთაღრიცხვა და გაჩქარებული მიწერ-მოწერა რუსეთში და საზღვარგარეთ მყოფ პროფესორებთან, რომელთაც აქ ეპატიჟებოდა. მალე შეიკრიბნენ ყველა წევრები.

კოტე აფხაზმა, თავმჯდომარემ კომიტეტისა, სთხოვა ვანოს, წაეკითხა მოხსენება. არაფერი დავიწყებოდა მომხსენებელს, საოცარი სრული იყო.

ყველა აღტაცებაში მოიყვანა.

თავმჯდომარემ უდიდესი მადლობით მიმართა, მხოლოდ უნივერსიტეტის ეხლავე გახსნა შეუძლებლად ნახა უფულობის გამო.

სურათი შეიცვალა, ყველამ ცხვირები დაუშო. ვანოს მღელვარება შეეტყო, მხოლოდ თავისებურად დინჯად შეეკითხა თავმჯდომარეს: – "მაშ რატომ მამუშავებთ ტყუილად, იმდენად დამაიმედეთ, რომ პროფესორებიც კი გამოვითხოვეთ".

დიდი ბოდიშები, დიდი მწუხარება, სექტემბერში გავხსნათ. ცოტა მოთმინება უნდა ვიქონიოთ.

მაშინ მე ვკითხე თავმჯდომარეს,

– პირველ სექტემბერში კი ნამდვილად გვექნება ფული?

– ვერც მაგას ვიტყვი, – იყო პასუხი.

დავიშალენით, გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. წამოვედით სახლში. ბნელი საღამო იყო და ჩვენს გულებშიც ბნელოდა. ვანოს ჩემი ხელი ეჭირა. პატარა ხანს ვგრძნობდი მის კანკალს, მალე დამშვიდდა და მითხრა:

"არაფერია, უნივერსიტეტს მაინც გავხსნითო". ასეც მოხდა. ფარხმალი არ დაუყრია ივანე ჯავახიშვილს. მომხრეთა მცირე გუნდით შეუძლებელი შეძლო. 1918 წლის 8 თებერვალს, ახ. სტილით, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ფონდში დაცულ მოსაწვევში ვკითხულობთ: "ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორთა საბჭო და ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობა გთხოვენ მობრძანდეთ ამა თვის 26-ს, პარასკევ დღეს, პირველ საათზედ და უნივერსიტეტის გახსნას დაესწროთ (წყნეთის ქ. №51).
1918 წლის 26 იანვარი.

1920 წლის მარტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცემულია ორდერი №5, რომელშიც ვკითხულობთ, რომ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტს შესწირა 4000 მანეთი სასტუდენტო თემების პრემიის ფონდისთვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1920 წლის მაისში მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს უგზავნის №492 უწყებას, რომლითაც ვიგებთ, რომ უნივერსიტეტში დაარსებული ყოფილა ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანის (1847-1919) სასტიპენდიო ფონდი. ჩამოთვლილია ის პირები (თანხის მითითებით), რომლებსაც შეუწირავთ თანხა ამ ფონდისთვის.

ორდერებს ხელს აწერს ივანე ჯავახიშვილი და დემეტრაშვილი.

ეს დოკუმენტიც თავისთავად ადასტურებს ჯამბაკურ-ორბელიანთა ღვაწლს და მონაწილეობას უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

მარიამ ორბელიანი მორალურად თუ მატერიალურად ყოველთვის მხარში ედგა ივანე ჯავახიშვილს. ისინი ერთი დიდი ოჯახის წევრები იყვნენ, დღენიადაგ სახალხო განათლებაზე მზრუნველნი.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს არაერთი სტიპენდიანტი ჰყავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ერთერთმა მადლიერმა სტუდენტმა დათა აგლაძემ ასეთი სიტყვებით მოიხსენია მარიამ ორბელიანი: "მისი ამაგი ზღვის ფსკერივით ამოუწურავიაო".

დიდად აფასებდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს ივანე ჯავახიშვილი. გაწეულ ამაგს უკვალოდ არ ჩაუვლია. ზემოთ ვახსენე ელისაბედ ერისთავის მოგონებები, სადაც ვკითხულობთ: "... ეს ვიცი, როცა ორჯონიკიძე ჩამოვიდა რუსეთიდამ, ვანო ჯავახოვს უთხრა: მე მახსოვსო, როცა სათავადაზნაურო შკოლაში ვსწავლობდიო, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი ჩვენი პრეცედატელნიცა იყოვო. ძალიან მინდა, რითმე შევეწიოო ან პენსია დავუნიშნოთო. მაგრამ ვანო ჯავახოვმა უთხრა პასუხათ: "მინამ მე ცოცხალი ვარო, იმას არას მოვაკლებო. მართლაც, ისიც და მისი ძმაც არას აკლებდნენ".

ამის შესახებ, თავად მარიამიც აღნიშნავს. ავტობიოგრაფიაში წერს: "რაც ყველაფერი ჩამომერთვა, ჩემი სიძის, შეუდარებელი ადამიანის ივანე ჯავახიშვილის კმაყოფაზე ვიმყოფებიო".

სამწუხაროდ, ბედმა მარიამ ორბელიანს ივანე ჯავახიშვილის დატირება არგუნა. თვითონ ერთი წლის შემდეგ, 1941 წელს გარდაიცვალა.

სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის დირექტორი.

ერთაწმინდის ტაძარი და მისი ეპოქა

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა სამეცნიერო სესია თემაზე "ერთაწმინდის ტაძარი და მისი ეპოქა", სადაც მოწვეული იყვნენ კულტურის, განათლების მუშაკები, მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტები, მოსწავლეები და ახალგაზრდები... ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. შემდეგ დღის წესრიგის მთავარ თემაზე "ერთაწმინდის ტაძარი და მისი ეპოქა" – ვრცელი მოხსენება წაიკითხა მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა ხატია ხორგუაშვილმა, რომელმაც თავის გამოსვლაში ამომწურავად, ვრცლად მიმოიხილა ერთაწმინდის უნიკალური ტაძრის

აგებისა და მისი ეპოქის ისტორია.

სესიაზე წაკითხული მოხსენების ირგვლივ აზრი გამოთქვეს: მხატვარმა იორამ იმედაშვილმა, კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა მანანა ყაბანაშვილმა, ბიბლიოთეკების გაერთიანების ღონისძიებების ორგანიზატორმა ლია მე-

ნაბდიშვილმა და სხვებმა. ღონისძიების ორგანიზატორებსა და სესიაზე მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და აქტიურობის და თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ.



კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

“განუყოფელია ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი, ადამიანი და ტაძარი, ადამიანი — შემოქმედი და ტაძარი — სულიერი საზრდოს უშრეტი წყარო”...

როინ მეტრეველი.

აი, ასე ახასიათებენ მეცნიერების კორიფეები, ქართული საზოგადოებრიობის აღიარებული წარმომადგენლები დიდი ქართველი მეცნიერისა და ისტორიკოსის, ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის ფასდაუდებელ ღვაწლს... სწორედ ამ თემებზე ისაუბრეს ამას წინათ მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან /დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი/ არსებულ კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსების ასი წლის იუბილეს მიეძღვნა.

— კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სამუზეუმო სივრცეში გამართულ კულტურულ ღონისძიებებსა თუ საინტერესო შეხვედრებში, — აცხადებს წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი, — ამჯერადაც ასე მოხდა და ბავშვების ინიციატივით, ორგანიზებით მოსწავლეთა სახლში უნივერსიტეტის დაარსების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა ჩატარდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, მოწვეული სტუმრები... მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები: ქეთი ჭალისური, მიხეილ სამხარაძე, მაია თაბუაშვილი, აზზორ დალაქიშვილი, მარიამ ნუგზარიშვილი, ლუკა მერებაშვილი, თამარ გოჭოშვილი, თემურ ირემაშვილი, ნინო ბერუაშვილი შთამბეჭდავად, განუმეორებელი პათოსითა და უდიდესი მოკრძალებით უკითხავდნენ მოწვეულ სტუმრებს ამონარიდებს, რომელიც ასახავს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლებს, უნივერსიტეტის დაარსების საქმეში მის მიერ გაწეულ ღვაწლს.



დიდი მეცნიერი და უნივერსიტეტის ფუძემდებელი

შეხვედრაზე მოსულ დამსწრე საზოგადოებასა და მოსწავლეებს მიესალმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ლელა პეტრიაშვილი, რომელმაც გაიხსენა უნივერსიტეტში სწავლის წლები და თბილად, უდიდესი პატივით მოიხსენია ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ახალგაზრდების ცხოვრებაზე... ცოდნის დიდ ტაძარში გატარებული სტუდენტობის წლები გაიხსენა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა მედეა ნიპარიშვილმა, რომელიც ბავშვებს ესაუბრა ლეგენდარული პროფესორების, ქალბატონების მარიამ ლორთქიფანიძისა და მზექალა შანიძის, როინ მეტრეველისა და სხვათა მიერ წაკითხულ ლექციებზე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელების მშობელთა სახელით სამადლობელი სიტყვით გამოვიდა დალი დალაქიშვილი და იმედი გამოთქვა, რომ ბავშვები საიმედო ხელშია და მიღებული ცოდნა, გამოცდილება ყველას წაადგება.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

პრეზენტაცია

ნინო წერეთელი:

“მინდა, სამყარო ერთად შევკრა”

ბედისწერას ვერსად გაექცევი... დროდადრო თავს გახსენებს ეს მარადიული შეგონება და იგი მძაფრი და ულმობელია, როდესაც ახალგაზრდის სიცოცხლეს ეხება...

ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა ნინო წერეთელმა და უკანასკნელი ორი-სამი წელი ჩუმად, ოლიმპიური სიმშვიდით ებრძოდა უკურნებელ სენს, ისე, რომ უიმედობა არავისთვის უგრძნობინებია, თუმცა, ეს ყველაფერი ისე სულისშემძვრელად არის აღწერილი და გადმოცემული მის ჩანაწერებსა თუ ლექსებში, თხზულებებსა თუ ნაუცბათევად შესრულებულ ნახატებში, რომ სულით-ხორცამდე შეგძრავს, უცრემლოდ, აუღელვებლად ვერ წაიკითხავ...

ერთი კია, ამ ჩანაწერების გაცნობისას რწმუნდები, 23 წლის ნინო სასოწარკვეთილების მომენტშიც კი, ინარჩუნებდა მისი ასაკისათვის უჩვეულო რწმენასა და სიდარბაისლეს, მეტიც, გამბედაობას, აკი ერთ-ერთ თავის ბოლოდროინდელ პატარა ჩანახატში ყველას გასაგონად, თამამად აცხადებს — “მინდა, სამყარო ერთად შევკრა”...

უდიდესი განცდა, ემოცია და ტკივილი იგრძნობოდა ამას წინათ კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ნინო წერეთლის წიგნის /”გამორჩეული”/ პრეზენტაციას მიეძღვნა. შეხვედრა გაიხსნა ფოტო-კოლაჟით. პრეზენტაციას ესწრებოდნენ: წიგნის რედაქტორი მანანა გორგიშვილი, კორექტორი მორის როსტიაშვილი, აგრეთვე, ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი მუშაკები, სასულიერო პირები, ნინო წერეთლის ოჯახის წევრები და ახლობლები, ნათესავები, სკოლის მეგობრები...

ბიბლიოთეკის თანამშრომლები ერთმანეთის მონაცვლეობით უკითხავდნენ დამსწრე საზოგადოებას ნინოს მიერ დაწერილ ემოციურად დამუხტულ, უდიდესი ტკივილის მომცველ ჩანახატებს, პატარ-პატარა მოთხრობებსა თუ თხზულებებს.

ემოციური, თანაგრძნობით აღსავსე სიტყვებით გამოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. ცრემლიანი იყო პრეზენტაციის სტუმართა თანაგრძნობის სიტყვები, ბევრი მათგანი ვეღარ იმორჩილებდა ემოციას, გამომსვლელთა შორის იყვნენ: მზია ჩაგანავა, ეთერ ჩიჩუა, ანასტასია ბუნტური, თეო მონასელიძე, ლამარა კახიანი, დოდო ხვედელიძე, მაყვალა ბერიანიძე, მამა ლევანი /ჯიქური/, მამა იოანე /ჟვიძე/, გურამ ქარქაშაძე, თამარ გიგაური, რუსუდან მიგრიაული, ასმათ აფციაური...

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ ტატანაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ჯავახიშვილი, ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, საქართველოს პარლამენტის კასპის ბიუროს სპეციალისტი ლაშა ზუბიაშვილი. შეხვედრას უძღვებოდა ბიბლიოთეკების გაერთიანების ღონისძიებების ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი. ღონისძიებაზე მოწვეული იყო სამთავისი-კასპის ეპარქიის მგალობელთა გუნდი, რომელთა გამოსვლითა და ფოტო-კოლაჟით დასრულდა შეხვედრა...

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

რა უნყობს ხელს აღსაზრდელთა აქტივობის ზრდას

განათლებული, ფიზიკურად ძლიერი, სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა სამთავრობო პრიორიტეტი გახლავთ და ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩვენს მუნიციპალიტეტში ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განხორციელებული მასშტაბური სამშენებლო, სარემონტო და აღდგენითი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ისიც ნათლად იგრძნობა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი აკისრია საბავშვო დაწესებულებებში საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიური სწავლების განახლებასა და სრულყოფას...

ბოლო დროს გაიჟღერა ბაღის აღსაზრდელების კვების კალორიულობისა და სრულფასოვნების თემამ. რამდენად მოწესრიგებულია კვების საკითხი ბაღებში? - განმარტავს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი: — ჩვენი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები დღის დიდ ნაწილს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ატარებენ და ბუნებრივია, დღის განმავლობაში მიღებული სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დაწესებულებებში მიეწოდებათ. სწორედ ამიტომ საკვები პროდუქტების შერჩევასა და სწორი მენიუს შედგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ბავშვისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დღეის მდგომარეობით კასპის მუნიციპალიტეტში არსებულ 26 საბავშვო ბაგა-ბაღში გვყავს 1574 აღსაზრდელი, თითოეულის კვების პაკეტი თვეში განისაზღვრება 20 ლარით. ამდენად, აღსაზრდელს ყოველდღიურად მიეწოდება უვნებელი, სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის პროდუქტი. გარდა ამისა, ბოლო ხანს ვიზრუნეთ და აღსაზრდელთა მენიუ დამატებით კიდევ გამდიდრდა, დაემატა არაჟანი, აგრეთვე ხილი: ვაშლი და ბანანი, ვაშლის ჩირი, ხილფაფა.

სამი ათეული წლის წინ ნატბეურაზე, ქალაქის ცენტრიდან საკმაოდ მოშორებულ უბანში №5 საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა და ამ დიდ შენაძენს ნატბეურელები, რასაკვირველია, იმედის თვალით უყურებდნენ. მართალია, თავიდან არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იყო ბავშვთა კონტინგენტი, მაგრამ ბაღის პედაგოგიური კოლექტივისა და ტექნიკური პერსონალის დარაზმულობითა და დიდი ძალისხმევით /უბანში კარდაკარ დადიოდნენ ბავშვების მოსაზიდად/ ყველაფერი კარგად წარიმართა, დალაგდა... მერე კი, ქვეყანაში მომხდარი ცნობილი მოვლენების დროს მართლაც, რომ გაუსაძლისი პერიოდი დაუდგათ მეხუთებაღელებსაც და ის დიდი გასაჭირი, წინააღმდეგობა ყველამ ერთად გადალახა, აღმზრდელებმა და მათმა თანაშემწეებმა, მთელმა ტექნიკურმა პერსონალმა, ბავშვების მშობლებმა შესაშური ორგანიზებულობა, სიმამაცე გამოიჩინეს და დანგრევას, ძარცვას, დახურვას გადაურჩა ეს სტრატეგიული ობიექტი...

გასული წლის შემოდგომაზე კი, დაუვიწყარი, მართლაც, რომ ფანტასტიური მოვლენის მოწმენი გახდნენ ბაღის ბავშვები და მათი მშობლები, აღმზრდელები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ზეიმზე მოსული სტუმრები... საქმე ის გახლავთ, რომ ამ დღეს ყველამ ერთად იდღესასწაულა სრულიად განახლებულ, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ, უმაღლეს დონეზე მოწყობილ, კომფორტული ავეჯითა და ინვენტარით დამშვენებულ ბაღში მოსვლა.

— ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებითა და უდიდესი ძალისხმევით შარშან ჩვენს ბაღში ჩატარდა ფართომასშტაბიანი სამშენებლო-სარემონტო და ინფრასტრუქტურული სამუშაოები, — აცხადებს ბაგა-ბაღის გამგე ლალი მილაძე, — ასე, რომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ჩვენი პატარები ამჟამად არიან სრულ "ფუფუნებასა და განცხრომაში", დიახ, 5 ჯგუფზე გათვლილი /160 აღსაზრდელით / დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობითა და უმაღლეს დონეზე მოწყობილი კვების ბლოკით, მიმდინარეობს სისტემატური და თანმიმდევრული ღონისძიებები იმისათვის, რომ დაიხვეწოს, სრულყოფილი გახდეს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესი.

რასაკვირველია, როდესაც ბავშვს ასეთ სასურველ გარემოში უწევს ყოფნა, მშობლისა და ოჯახის სიხარულს საზღვარი არა აქვს, კარგია, როცა პატარა საიმედოდ არის დაცული და იმასაც ნათლად გრძნობ, რომ გამგე, აღმზრდელები, მათი თანაშემწეები ენერგიას არ იშურებენ, შემართებით და არნახული პასუხისმგებლობით იბრძვიან, რომ შენმა შვილმა ბედნიერად იგრძნოს თავი. სწორედ ამ განწყობითა და სულისკვეთებით, გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის წყალობით უძღვებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ბაღის აღმზრდელები და მათი თანაშემწეები: ნანა ჯამალაშვილი და მაია მაღლაფერიძე, თამარ ნიპარიშვილი და თინიკო თინიკაშვილი, მაია ბაიდაური და დინარ ქავთარაძე, ოლია ბერიძე და მარეხ მაჭარაშვილი, ხატია ილურიძე და მარი ალიმბარაშვილი, მედდა მარინა ზავრადაშვილი, მნე ლიანა მჭედლიშვილი, მეთოდისტი ნაირა დევაძე, მუსიკის მასწავლებელი ელენე ხორგუაშვილი, ფსიქოლოგი ელენა ხეჩუაშვილი, მზარეულები: ირმა მილაძე და ნანა ნავროზაშვილი, მეთეთრეულე ლია ტყეშელაშვილი, დარაჯები: ნინო მაისურაძე და ბეჟან მოდრეკილაძე.

მაია მაღლაფერიძე — აღმზრდელი: ჩემს მეორე სახლად მიმაჩნია ბაღი, ხოლო ბავშვებზე ზრუნვა ჩემი უპირველესი საზრუნავია. დაარსების დღიდან აქ ვმუშაობ, ჩემი შვილიც აქ გაიზარდა, ვინ მოთვლის, რამდენმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში, ცალსახად შემიძლია განვაცხადო, რომ როგორც საკუთარ ოჯახზე, ისე ვზრუნავ ჩემს აღსაზრდელებზე. აქ მუშაობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ ნათლად დამანახა, რომ ვითარება რადიკალურად შეიცვალა, არა, იმას როდი ვამბობ, რომ უწინ ბავშვებზე არ ზრუნავდნენ, არა, ამის თქმა ნამდვილად არ შეიძლება, მაგრამ ახლა, ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ ყველაფერს, ვრწმუნდები, რომ ბევრი რამ გაუმჯობესდა, რა თქმა უნდა სასიკეთოდ, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა ბავშვი, საგრძნობი ყურადღება დაეთმო აღსაზრდელის კვებისა და სააღმზრდელო სწავლების პროცესის დახვეწასა და გაფართოებას. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ჩვენს შეჭირვებულ ყოფაში უკვე რამდენი ხანია, ბაღი უფასოა, ვინ დატოვებს დღეს ბავშვს ბაღის გარეშე, მეტის თქმაც შეიძლება, ყოველი ოჯახი დამშვიდებულია, რადგან პატარებს აქვთ სამჯერადი, თანაც სრულფასოვანი კვება. მე, როგორც აღმზრდელი იმაშიც დავრწმუნდი, რომ დაიხვეწა, უფრო სრულყოფილი გახდა სასწავლო-სააღმზრდელო მიდგომები ბავშვებთან. დიახ, ახლა უფრო მეტი თავისუფლება აქვს აღმზრდელს, რათა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და შესაძლებლობა გამოავლინოს. აი, ის დაგეგმილი, სისტემატური აქტივობები, შემეცნებითი თუ საზეიმო ღონისძიებები, შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობენ ბავშვები, კიდევ უფრო მეტ სილაღესა და გამბედაობას, სიხარულს ანიჭებს მათ.

ელენა ხეჩუაშვილი — ფსიქოლოგი: დიდი ხანი არ არის, რაც ამ კოლექტივის წევრი ვარ, გამოგიტყდებით და არც სხვაგან სადმე მუშაობის გამოცდილება მქონდა და ამიტომ ძალიან ვღელავდი, მართალია, უმაღლესი დავამთავრე, მაგრამ პრაქტიკას, გამოცდილებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ყოველთვის, სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ არ ველოდი, თუ საბავშვო ბაღში მუშაობისათვის ასეთი მრავალმხრივი მიდგომა და ცოდნა-გამოცდილება იქნებოდა საჭირო. არადა, ამ მხრივ ძალიან იღბლიანი აღმოვჩნდი, რადგან გამოცდილების გაზიარების პროცესში მთელი კოლექტივი დამიდგა გვერდით, განსაკუთრებით კი გამგე, ქალბატონი ლალი დამეხმარა და სულ მალე პატარების "ნდობა" და სიყვარული დავიმსახურე. აი, ასე ერთობლივი, ორგანიზებული და გააზრებული მუშაობით შევძელი ცოდნის რეალიზება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ასეთ ჯანსაღ და შემოქმედებით კოლექტივში მოვახერხე საკუთარი ადგილის პოვნა. მადლობელი ვარ, რომ დღეს ამ გუნდის წევრი ვარ, სწორედ მათი წყალობით, ალბათ, არასოდეს მომბეზრდება აღსაზრდელებთან მუშაობა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აქ მომუშავე აღმზრდელები და მათი თანაშემწეები, მთელი ტექნიკური პერსონალი კარგად შემუშავებული, დახვეწილი მეთოდოლოგიური და ეფექტური სასწავლო პროგრამით ხელმძღვანელობენ და ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად ზრდის აღსაზრდელთა აქტივობას... ამდენად, იკვეთება ნათელი სურათი იმისა, რომ ბაღიდან წასვლის შემდეგ ბავშვები იქნებიან მოტივირებული და მიზანდასახულები. წელს სასკოლო მერხს მიუჯდება მეხუთე ბაღის 34 კურსდამთავრებული, იმასაც ვარაუდობენ, რომ სამომავლოდ ბავშვთა კონტინგენტიც გაიზრდება ბაღში.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ფოლკლორი _ ხალხური სიბრძნე

"მუსიკავ, სუნთქვავ ქანდაკებათა ან იქნებ ხატთა მდუმარებავ... შენ იქ მეტყველებ, სადაც სიტყვები წყდება. სიტყვები წყდება, რიტმი გრძნობაა და ეს გრძნობის მუსიკა მოქმედებს სულზე".

რილკე.

იანვრის შუა რიცხვებში ქალაქის კულტურის ცენტრში ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სახლ-მუზეუმის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელსაც ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კულტურის სამსახური, ქალაქისა და სოფლების საჯარო სკოლების მოსწავლეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პედაგოგები და სტუდენტი-ახალგაზრდობა...



სალმა და ღონისძიების ორგანიზატორების სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა თეა ხორბალაძემ.

სესიაზე ვრცელი მოხსენებით "ქართული ხალხური საკრავები ერის კულტურის სულიერი და მატერიალური ძეგლებია" – გამოვიდა კავთისხევის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ნათელა /ციმი/ თეზელიშვილი-კელაპტრიშვილისა, რომელმაც თემის მთავარი საკითხის განხილვამდე მიმოიხილა ხალხური საკრავების ვირტუოზი შემსრულებლისა და ქართული ხალხური ფოლკლორის ერთ-ერთი პოპულარიზატორის ომარ კელაპტრიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიპეტიები. საგულისხმოა ისიც, რომ 2018 წელი ომარ კელაპტრიშვილის საიუბილეო წელია, აღიარებულ მუსიკოსს პირველ იანვარს 75 წელი შეუსრულდებოდა, ხოლო მისი სახელობის სახლ-მუზეუმი დაარსებიდან 15 წელს ითვლის.

ხოლო, რაც შეეხება მოხსენებას, ეს გახლავთ საფუძვლიანი, ძალიან საინტერესო, ქართული კულტურის, კერძოდ კი, ფოლკლორის თანმიმდევრულ კვლევაზე დამყარებული ისტორიული მასალა... აღინიშნა, რომ ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხალხურ მუსიკას. ქართული ხალხური მუსიკა შორეული საუკუნეებიდან იღებს სათავეს და იგი გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ჩვენამდე მოაღწია, როგორც ტრადიციულმა მუსიკამ. ხალხური (ტრადიციული) მუსიკალური შემოქმედება იწოდება მუსიკალურ ფოლკლორად. ფოლკლორი ინგლისური სიტყვაა და ქართულად ხალხურ სიბრძნეს ნიშნავს... ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ხალხური საკრავების სამ ძირითად ჯგუფს არჩევენ, ესენია სასულე, დასარტყამი და სიმებიანი, სიმებიანი კიდევ იყოფა: ხემიანი ანუ მშვილდაკიანი და მოსაზიდი საკრავების ჯგუფებად. აღსანიშნავია, რომ ქართველები უხსოვარი დროიდან საკრავების დასამზადებლად იყენებდნენ ბუნებრივ მასალას – ხეს, ლერწამს, ტყავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინაპრებს ლითონის წარმოების უძველესი ისტორია ჰქონდათ, ლითონს თითქმის არ, ან ძალიან იშვიათად იყენებდნენ.

მოკლედ, მოხსენება, როგორც უკვე აღინიშნა არა მარტო ტევადი, არამედ მრავლის მომცველიცაა და ამდენად, სპეციალისტების გარდა სხვებსაც მიიზიდავს. თემის კონსულტანტები იყვნენ სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები, აგრეთვე, სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის წარმომადგენლები, ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები.

– ფრიად მოხარული ვარ, რომ ასეთი ხალხმრავალი სესია მიეძღვნა ჩვენი ერის კულტურის საგანძურის, ქართული ფოლკლორის ისტორიის გაცნობისა და შესწავლის საკითხს, – განაცხადა ღონისძიებაზე სტუმრობისას თბილისის ხალხური საკრავების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, ამ მოხსენების ხელმძღვანელმა ქალბატონმა ქეთევან ბაიაშვილმა, – ეს კი, იმის მაუწყებელი გახლავთ, რომ ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი თაობა დაინტერესდება პოლიფონიით, მეტ ყურადღებასა და სურვილს გამოავლენს, რათა უკეთესად გაიცნოს ქართული ფასეულობები, შეისწავლოს საქართველოს ისტორია და წარსული.

თქვენ წარმოიდგინეთ, სამეცნიერო სესიას მუსიკალური ნაწილიც ახლდა. საქმე ის გახლავთ, რომ დამსწრე საზოგადოება და მოწვეული სტუმრები ოვაციებითა და ტაშით შეხვდნენ აღაიანის კულტურის სახლთან არსებულ ხალხურ საკრავთა ანსამბლის /ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი / გამოსვლას, რომელმაც შეასრულა ხალხური მელოდიები, ხოლო ამ კულტურული ღონისძიების ნამდვილი მშვენება იყო კავთისხევის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ჯგუფის / ხელმძღვანელი ნანა შალიტაური / წევრების, პატარა მედოლეების: ნიკა ქსოვრელის, ლუკა და იოანე ხიზანიშვილების, აკაკი კელაპტრიშვილის და ნიკა მოდრეკილაძის მიერ შესრულებული "ხორუმი"...

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორი ნანა მერებაშვილი. დაბოლოს, ნაჩვენები იქნა ომარ კელაპტრიშვილისადმი მიძღვნილი ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმი "მარადიული ჰანგების დიდოსტატი".

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

უგონო სიყვარული — მანია

მაშ ასე, ეს არის ვნებებისა და ეჭვიანობისაგან შემდგარი გრძნობა, რომლითაც მამაკაცი ისეა შეპყრობილი, როგორც სიგიჟით. ამგვარად შეყვარებული მამაკაცის ყურადღება ქალზე კი არა, საკუთარ ვნებებსა და განცდებზეა კონცენტრირებული. ასეთი მამაკაცი ქალის ხარჯზე თვითდამკვიდრებას ცდილობს და ქვეცნობიერად ურთიერთობაში მუდამ პრობლემებს ეძებს, ან სულაც თავადვე ქმნის მათ. ის ცდილობს, საყვარელი ქალი სრულებით დაიქვემდებაროს, მასზე დამოკიდებული გახადოს. ასეთი მამაკაცი იმის გამო კი არ განიცდის და ეჭვიანობს, რომ საყვარელი ადამიანის დაკარგვის ეშინია, არამედ არ სურს საკუთარი ძალაუფლების გავლენისაგან ქალის გათავისუფლება. მამაკაცები, რომლებიც ასეთი მანიაკალური სიყვარულისკენ არიან მიდრეკილნი, ერიდებიან ქალთან ძლიერ მიჩვევას და გაურბიან დამოკიდებულებას ვინმესგან ან რაიმესგან, არ ჰყავთ ახლო მეგობრები, ხშირად იცვლიან სამსახურს, საცხოვრებელ ადგილს, ქორწინებაშიც როგორც წესი, არაერთხელ ყოფილან.

პრაგმა — ანგარიშიანი სიყვარული

ეს პრაგმატული, ანგარიშიანი გრძნობა გონებით გაზომილი სიყვარულია. ასეთი მამაკაცის პრინციპია, ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი. მას გამოსადეგი ქალი ესაჭიროება, რომელსაც კარგად შეუძლია საოჯახო მეურნეობის გაძღოლა, მშვიდი და სათნო ხასიათი აქვს. იგი ისეთ ქალს ირჩევს, რომელსაც მისთვის ყოველმხრივ კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფა შეუძლია. ასეთ მამაკაცს არ შეუძლია ერთი ნახვით შეყვარება, არ აინტერესებს ინტიმური ურთიერთობიდან მიღებული გამორჩეული შთაბეჭდილებანი. ამ მამაკაცთან თანაცხოვრებისას დიდი ვნებებისა და მოულოდნელობების იმედი ნუ გექნებათ, უფრო მეტიც, არ დაგტოვებთ განცდა, რომ თქვენ ისევ აგირჩიეს — გარკვეული პარამეტრებისა და მონაცემების მიხედვით, როგორც ხარისხიანი ნივთი მაღაზიაში. ვიდრე მეუღლის დაწესებულ სტანდარტებს შეესაბამებით, მშვიდი და სტაბილური ცხოვრება გარანტირებული გაქვთ, მაგრამ გახსოვდეთ, დაიწყებთ თუ არა ურჩობას, განხეთქილება გარდაუვალია.

თავგანწირული სიყვარული — აღაპე

ბერძნულ ენაში "აღაპე" დღემდე სიყვარულს ნიშნავს. ამგვარი გრძნობით შეპყრობილი მამაკაცი მზად არის ნებისმიერი მსხვერპლი გაიღოს იმისათვის, რომ საყვარელი ადამიანი ბედნიერად ჰყავდეს. მისთვის ქალის ინტერესები და პრობლემები საკუთარზე უფრო მნიშვნელოვანია. მისი გრძნობა უანგაროა. ასეთი მამაკაცი ნდობას აღგიძრავთ და თქვენს პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი მუდმივი ყურადღება და მზადყოფნა, ყოველთვის შეასრულოს თქვენი კაპრიზი, შესაძლოა მოსაწყენიც გახდეს. შეყვარებულ ქალს ხომ მხოლოდ მიღება კი არა, გრძნობების და სითბოს გაცემაც სურს. ასეთ მამაკაცს კი თქვენგან არაფერი უნდა იმის გარდა, რომ თაყვანისცემის ნება დართოთ. მისი გამუდმებული ზრუნვა და მცდელობები, თქვენი აზრებიც კი აკონტროლოს, "მამობრივი სიყვარულის" განცდას უფრო გიტოვებთ, ვიდრე პარტნიორული ურთიერთობებისას, რაც ბევრი ქალისათვის მომაბეზრებელია.

სიყვარული-თამაში — ლუდუსი

ამგვარი სიყვარული პირველ რიგში სექსუალურ ლტოლვაზეა დამყარებული. თუ ასეთი პარტნიორი შეგვხდათ, დაივიწყეთ სიმშვიდე: თქვენი რჩეულისათვის სიყვარული სექსია. მას თქვენგან მხოლოდ სექსი უნდა. ამიტომ თქვენი გრძნობები, აზრები, განცდები არ აინტერესებს, ასევე არ აინტერესებთ თქვენ, როგორც პიროვნება. გამორიცხული არ არის, რომ თქვენს გარდა მას კიდევ არაერთი რჩეული ჰყავს, რომელთანაც რეგულარულად ურთიერთობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ემოციების ტყვეობაში ხართ, ადრე თუ გვიან (რასაკვირველია, სჯობს ადრე) მიხვდებით რომ არაფერი გაქვთ საერთო და მასთან არაფერი გაკავშირებთ საწოლის გარდა. ეგოისტი მამაკაცი საწოლშიც მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ფიქრობს. მისი გრძნობები მალე გაცივდება, თუ რაიმე ნიშნით აღარ დააკმაყოფილებთ მის ლტოლვას. თუ თქვენ ხანმოკლე, სასიამოვნო თავგადასავალი გხიბლავთ, ასეთი მამაკაცი შესაძლოა კარგი ვარიანტიც იყოს. რაც შეეხება ოჯახურ ცხოვრებას, უპასუხისმგებლო ქმარი, რომელსაც ღრმა გრძნობები არ გააჩნია და ერთგულება არ შეუძლია, ნაკლებად გამოგადგებათ.

მეგობრული სიყვარული — სტროგე

ურთიერთგაგებასა და მეგობრობაზე დამყარებულ სიყვარულს ქალსა და მამაკაცს შორის არისტოტელე სტროგეს უწოდებს. მამაკაცი, რომელიც მხოლოდ ასეთ სიყვარულს ემხრობა, ღია და გულწრფელია. მას თქვენგან საიდუმლო არა აქვს. თქვენც გიჩნდებათ სურვილი, გაუზიაროთ მას ყველა სიხარული და დარდი. ასეთი მამაკაცი ყოველთვის დაგეხმარებათ, მხარს დაგიჭერთ, მაგრამ ფრთხილად იყავით, მეტისმეტი უშუალობა და ღიაობა იქამდე მიგიყვანთ, რომ თქვენი ურთიერთობა იდუმალების ხიბლს დაკარგავს და ბევრჯერ წაკითხულ და ინტერესდაკარგულ წიგნად იქცევა. ამგვარი ურთიერთობიდან ძლიერ ვნებებსაც ნუ ელით. თუ მოახერხებთ და პირად სივრცეს, ინტერესსა და გატაცებას შეინარჩუნებთ, თან გულწრფელობაშიც ღრმად არ შეტოპავთ, ერთმანეთი არასდროს მოგბეზრდებათ.

ემოციური სიყვარული — ეროსი

სიყვარულს, რომელიც პირველ რიგში უსაზღვრო ერთგულებასა და ფიზიკურ ლტოლვაზეა დამყარებული, არისტოტელემ ეროსი უწოდა. მამაკაცს, რომელიც ამგვარ სიყვარულს განიცდის, უპირველესად თქვენი გრძნობები, ემოციები, ცხოვრება, პრობლემები აინტერესებს და შემდეგ ფიქრობს საკუთარზე. ასეთ მამაკაცს თქვენი საშუალებით თვითდამკვიდრება არ სურს, არ დაიწყებს თქვენი მდგომარეობისა და სიყვარულის ბოროტად გამოყენებას. იგი სიამოვნებით იზრუნებს თქვენზეც და ოჯახზეც. ეროსი ნამდვილი სიყვარულია, რომელზეც ყველა ქალი ოცნებობსო, ამბობს არისტოტელე.

დავუჯეროთ არისტოტელეს? - შეყვარებულებმა განსაჯეთ.

შემოქმედებითი საღამო

ქართული საესტრადო სიმღერის თაყვანისმცემელი საზოგადოება შესანიშნავად იცნობს ლოტბარის, პედაგოგისა და მომღერლის ზაზა მენაბდიშვილის შემოქმედებას. მან თავისი ნიჭითა და ლამაზი ხმის ტემბრით, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მიიპყრო ყურადღება... ორ ათეულ წელზე მეტია, ზაზა მენაბდიშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობს და უდიდესი

თავდადებით ემსახურება ბავშვთა ქართული საესტრადო სიმღერის პოპულარიზაციას. მის მიერ დაარსებულ, როგორც დედაქალაქის, ასევე კასპის სტუდიის ბევრი მისი აღზრდილი, ახლა უკვე ესტრადის ვარსკვლავია. ალბათ, ყველას კარგად ემახსოვრება საკმაოდ გახმაურებული ჯეოსტარელები აჩიკო ნიჟარაძე და გიორგი შარაბიძე, მის საქართველო ირინა ონაშვილი, აგრეთვე, ნუცასსკოლელი და "ახალი ხმის" მონაწილე კასპელი ბავშვები: ციცი შუკაკიძე და მედეა ბეჟიტაშვილი, რატი მეზვრიშვილი და ნინი ცნობილაძე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზაზას სტუდიის კასპელი ბავშვები: გიორგი გაბისიანი, გიორგი ჯავახიშვილი, აჩიკო მიგრიაული, გვანცა მამაცაშვილი ყოველთვის მონაწილეობენ ჩვენს ქალაქში გამართულ საზეიმო თუ სამთავრობო ღონისძიებებში, საღღესასწაულო შეხვედრებში...

შემოქმედებითი საღამო, რომელიც საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის /თავმჯდომარე გოგა შავერზაშვილი/ ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა კომპოზიტორთა კავშირში ლოტბარისა და მომღერლის, პედაგოგის ზაზა მენაბდიშვილის კიდევ ერთი აღიარება გახლდათ... შეხვედრაში მონაწილეობდნენ ზაზა მენაბდიშვილის ძველი და ახალი თაობის მოსწავლეები, მათ შორის იყვნენ აჩიკო ნიჟარაძე და გიორგი შარაბიძე, ნინი ცნობილაძე და ირინა ონაშვილი, ციცი შუკაკიძე და მედეა ბეჟიტაშვილი, რატი მეზვრიშვილი და ლექსო მენაბდიშვილი, რომლებმაც შეასრულეს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები... როგორც თვითმხილველები ყვებიან, ეს იყო დაუვიწყარი საღამო, ქართული ესტრადის ნამდვილი ზეიმი, თითქმის ორი საათის განმავლობაში ჟღერდა მხოლოდ ქართული საესტრადო სიმღერა, იყო ემოცია და დიდი მოწონება, აპლოდისმენტები... ღონისძიების ბოლო აკორდი გახლდათ აღიარებული ქართველი კომპოზიტორების ნუნუ დუღაშვილის, ვაჟა დურგლიშვილის, კახა ცაბაძის, ზურაბ ჩინჩალაძის, გოგა შავერზაშვილის სცენაზე გამოჩენა, რომლებმაც შემოქმედებითი საღამო სიამოვნებით მიულოცეს ზაზა მენაბდიშვილს და ისაუბრეს მის დამსახურებაზე. საღამოს ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

შემოქმედებითი საღამო დასრულდა ქართული მრავალჟამიერით.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ჭაბუკთა პირველობა ძიუდოში

მრავალი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებისათვის უმასპინძლია მეტეხის საჭიდაო არენას. ჭიდაობა სამბოში მსოფლიო ჩემპიონის იოსებ მაღალაშვილის სახელობის ქართული ჭიდაობის ნახერხმოყრილი სარბიელი ბევრი საუკეთესო ფალავნის ოსტატობის მოწმეა.

სულ ახლახან კი ამ სოფლის მკვიდრის, ქართული სპორტის დიდი ამაგდარის ივანე ბოჭორიძის სახელობის მეტეხის ჭიდაობის დარბაზი კვლავ აახმიანა სპორტულმა ყიჟინამ და შეძახილებმა – კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი შ. გოგიაშვილი) გადაწყვეტილებით აქ ჩატარდა რაიონის პირველობა 2003, 2004, 2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის ჭიდაობა ძიუდოში.

ეს კარგად ორგანიზებული სპორტული ზეიმი მიეძღვნა აქაური, წარსულში ცნობილი მოჭიდავის, ევროპის ჩემპიონის მალხაზ კუმლაძის ნათელ ხსოვნას.

10 წონით კატეგორიაში ერთმანეთს ოსტატობას და სპორტულ ჟინს თავდაუზოგავად უმტკიცებდნენ მეტეხელი, ოკმელი, თელიანელი, დოესელი, კავთისხეველი, ზემოხანდაკელი, კასპელი და მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების წარმომადგენელი ჭაბუკები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო.

ჭაბუკთა პირველობას სანიმუშოდ მსაჯობდნენ: იოსებ მამულაშვილი, გიორგი ბერიძე, ბერდია ბახტაძე, შოთა ბეჟიტაშვილი.

ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული წარსულში ცნობილი მოჭიდავეები – ჯემალ ხორბალაძე, ნუგზარ მამულაშვილი, ჯამბულ პაპინაშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი, ჰამლეტ წიკლაური, ბესიკ ერაშვილი, გიორგი გორგაძე და სხვები.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანებამ 2018 წლის ჩასატარებელ სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის პირველი გვერდი წარმატებულად გადაფურცლა. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებითა და სიგელებით.

60 კგ. წონით კატეგორიაში დაწესებული მალხაზ კუმლაძის სახელობის პრიზი მოიპოვა მეტეხელმა ჭაბუკმა გიორგი ლალიაშვილმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით შედეგები ასეთია:

29 კგ. I ადგილი – შარიფაშვილი ლუკა (მეტეხი),

II ადგილი – უსანეთაშვილი ლევანი (თელიანი),

III ადგილი – ხიზამბარელი ალეკო (ნიაბი), ოდოშაშვილი თემური (მეტეხი);

32 კგ.

I ადგილი – ქამხაძე ბექა (ზემო ხანდაკი),

II ადგილი – სეხნიაშვილი გურამი (მეტეხი),

III ადგილი – ამირეზაშვილი თამაზი (ზემო ხანდაკი), ბეჟიტაშვილი საბა (თელიანი);

35 კგ.

I ადგილი – გორჯოლაძე თორნიკე (კასპი),

II ადგილი – გელხაური ნიკა (მეტეხი),

III ადგილი – გრიქულოვი გუგა (თელიანი), დვალიშვილი თორნიკე (თელიანი);

38 კგ.

I ადგილი – ნაგელიშვილი ნუგზარი (თელიანი),

II ადგილი – მერებაშვილი ვასილი (მეტეხი),

III ადგილი – კალატოზიშვილი გიორგი (დოესი), იგრიაშვილი ლუკა (მეტეხი);

42 კგ.

I ადგილი – მამულაშვილი ლევანი (თელიანი),

II ადგილი – კალატოზიშვილი ნიკა (მეტეხი),

III ადგილი – გერმისაშვილი ლადო, (დოესი), რაზმაძე ემზარი (მეტეხი);

46 კგ.

I ადგილი – ქებაძე გიორგი (კასპი),

II ადგილი – ხინიზოვი კახა (მეტეხი),

III ადგილი – ნათაძე გიორგი (კასპი), ნინიკაშვილი დათო (ქვ. გომი);

50 კგ.

I ადგილი – ჯანიაშვილი ლუკა (ახალქალაქი),

II ადგილი – კაფიგრანოვი ნუკრი (ხოვლე),

III ადგილი – შამანაური მოსე (ოკამი), გასიშვილი ჯემალი (თელიანი);

55 კგ.

I ადგილი – მღებრიშვილი ვალერი (მეტეხი),

II ადგილი – გელხაური ნუგზარი (მეტეხი),

III ადგილი – რაზმაძე თამაზი (დოესი), თათარაშვილი ვახო (დოესი);

60 კგ.

I ადგილი – ლალიაშვილი გიორგი (მეტეხი),

II ადგილი – ჟვიძე სოსო (მეტეხი),

III ადგილი – გრაკალიშვილი ოლეგი (დოესი), აბუაშვილი რევაზი (კავთისხევი);

+ 66 კგ.

I ადგილი – დავითაშვილი გიორგი (მეტეხი),

II ადგილი – კოშაძე ელიზბარი (ბარნაბიანთკარი),

III ადგილი – ჯულაშვილი შოთა (ოკამი).

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ უმასპინძლა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების აქტიურ მკითხველებს, რომელთა შორის იყვნენ კასპის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლე ელენე მენაბდიშვილი, პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები გიორგი რუსიშვილი, ქეთი ბერიანიძე, ანანო იმერლიშვილი, თამთა თოხაძე, ანასტასია ხვთისიაშვილი, ქეთი კოპაძე, მეტეხის საჯარო სკოლის მოსწავლე ლიზი ბულაური, მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლე ლიზი ტყემალაძე, მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები მარი მელაძე, ანანო ჯინიყაშვილი, სოფიო ლაფერაშვილი, ჯაბა ჯაბაური.

ჩატარდა ლიტერატურული ღონისძიება ეგიდით, თემატური ხატვა-გამოფენა – "მოსწავლეთა ხელით გაცოცხლებული ზღაპრების გმირები".

სახვით ხელოვნებას მოსწავლეები ინტერესით ეუფლებიან მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების კასპის სამუსიკო სკოლასთან არსებულ ხატვის წრის გაკვეთილებზე, ხელმძღვანელი გახლავთ ცნობილი პედაგოგი ნელი გოგოლაძე, რომელიც წლებია, დიდი მონდომებით უძღვება ამ საქმეს.

ბიბლიოთეკაში მოწვეულ ბავშვებს მიესალმა და გააცნო ის თემატიკა, კერძოდ კი, ზღაპრის პერსონაჟები, რომელთა დახმარებითაც უნდა ემუშავათ პატარა "მხატვრებს". სხვათა შორის, ბავშვებმა ადვილად გაართვეს თავი დავალების შესრულებას და რამდენიმე წუთში შესანიშნავი გამოფენაც მოაწყეს...

ღონისძიების ბოლოს, ამ სახელდახელო გამოფენის მონაწილე მოსწავლეებს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების სახელით გადაეცათ სიგელები.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

თემატური გამოფენა
შეხვედრა საყვარელ გმირებთან

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში? გამოიწერეთ ,,ახალი გზითიალი,,

ქართული ჭიდაობა

ქართული ჭიდაობის წარმოშობა უძველეს ხანას უნდა უკავშირდებოდეს და უპირველეს ყოვლისა ის საბრძოლო დანიშნულების იყო. ტერმინი "რკენა" ნახსენებია მეცხრე საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში "ცხოვრება სვიმონ მესუეტისა", ფალავნობის სხვადასხვა ამბებია მოთხრობილი მეთორმეტე საუკუნის "ამირანდარეჯანიანისა" თუ "აბდულმესიანში". ასევე საინტერესოა ფრანცისკანელი ბერის ჯიოვანო პლანო კარპინის /1182-1252 / ნაამბობი... მესხურ ქრონიკებში მოიპოვება ცნობა, იმის შესახებ, რომ სამცხე-საათაბაგოს თავკაცს ყვარყვარეს ხონთქარის ფალავანი დაუმარცხებია, რის გამოც ქრისტიანად დაბრუნებულა სტამბოლიდან.

მეთხუთმეტე საუკუნის /1479-80 წწ./ მატიანეებმა შემოგვინახეს მზეჭაბუკ ათაბაგის შერკინების ამბავი თათრების ფალავან ძალანთან, სადაც მზეჭაბუკს გაუმარჯვია... არჩილ მეორე "საქართველოს ზნეობანში" სხვა საბრძოლო-სპორტულ სახეებთან ერთად ახსენებს ჭიდაობასაც.

ამდენად, ქართული ჭიდაობა, სპორტის ეს რაინდული, ულამაზესი სანახაობა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და ცხადია, მისდამი სახალხო სიყვარული ხშირ შემთხვევაში სამშობლოს პატრიოტიზმთანაც ასოცირდება. ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურული წყაროებიდან ისიც კარგად არის ცნობილი, რომ

ქართულმა ჭიდაობამ ღირსეულად გაუძლო დროის გამოწვევებს, ათასწლეულების განმავლობაში მდიდრდებოდა, იხვეწებოდა, საყოველთაო პოპულარობას იძენდა და ასე მოვიდა დღემდე... მარტო სპორტსმენებსა და მოჭიდავეებს კი არა, წიგნის მოყვარულ ფართო საზოგადოებას აუცილებლად მოხიბლავს, დააინტერესებს სულ ახლახან გამოცემული, ლამაზად გაფორმებული, უნიკალური ფოტოებით გამდიდრებული წიგნი "ქართული ჭიდაობა" /



თქვენ წარმოიდგინეთ, სახელმძღვანელოდაც გამოდგება/, რომლის ავტორი გახლავთ ჩვენი თანარაიონელის, ქართული კულტურისა და სპორტის დიდი ქომაგის, ზემოხანდაკელი ლადო გოგიბედაშვილის შვილიშვილი და ცნობილი ექიმის ნუგზარ გოგიბედაშვილის ვაჟი თამაზ გოგიბედაშვილი.

აი, სწორედ ამ წიგნის პრეზენტაციას მიეძღვნა ხალხმრავალი ღონისძიება, რომელიც გაიმართა კასპის სპორტულ კომპლექსში /დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი/ და რომელსაც ფრიად წარმომადგენლობითი დელეგაცია სტუმრობდა დედაქალაქიდან. აქ იყვნენ ტიტულოვანი ვეტერანი სპორტსმენები, საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები, სპორტული ჟურნალისტები, კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, კულტურის, განათლების წარმომადგენლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები.

პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა წიგნის ავტორმა თამაზ გოგიბედაშვილმა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებსა და უწყებებს, საქველმოქმედო ფონდებს, მხარდამჭერებს, რომლებიც ეხმარებოდნენ წიგნის შედგენისა და გამოცემის პროცესში.

ქართული სპორტის ისტორიასა და ქართული ჭიდაობის პოპულარობაზე სიტყვით გამოსვლისას ვრცლად ისაუბრა ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა და კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა. მან სიამაყით დაასახელა კასპელი ფალავნები, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ სპორტს, მოეფერა აქაურებს, გულწრფელად მიულოცა გალამაზებული, კომფორტული სპორტული კომპლექსი და ისიც დასძინა, რომ ალბათ, დედაქალაქშიც კი, ძნელად მოიძებნება ასეთი მძლავრი, ყველაფრით უზრუნველყოფილი სპორტული დაწესებულება, სადაც ერთად არის თავმოყრილი საჭიდაო დარბაზი, სავარჯიშო, სასტუმროც და რასაკვირველია, ეს ყველაფერი ხომ იმედის მომცემია, მეტიც, მოკლე ხანში იგი დადებითად აისახება რაიონის სპორტულ მიღწევებზე.

შემდეგ შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა პარლამენტარი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი. პრეზენტაციას სტუმრობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ ცნობილი სპორტული სახეები: ოლეგ იაძე, გიორგი ბიწკინაშვილი და გაბრიელ ბარჯაძე, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების ღონისძიებების ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი. შეხვედრა გაალამაზა ქართულ საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილმა ახალგაზრდების გამოსვლამ.

კასპის სპორტული კომპლექსი.

ყასპის პირველი სჯარო სოლის ჰედგოგს მაგული ლოლიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს!

ძვირფასო მაგულ, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, ყოვყასიურ დღეგრძელობას.

ყასპის პირველი სჯარო სოლის ჰედოლექტივი.

გვმოიწერეთ ვხვლი გვნთიავლი!

გვხლით ჩვენი მკითხველი!

გამოსათხოვარი

ეკა ბერიანიძე

ჩვენო საყვარელო ეკა, ძვირფასო ადამიანო, ძალიან ვწუხვართ, რომ ხანმოკლე სიცოცხლე გარგუნა ბედისწერამ. თორმეტი წელი ებრძოდი სიკვდილს, ძალიან განვიცდით, გვიჭირს იმასთან შეგუება, რომ სამუდამოდ დაგვტოვე. ყველაზე მეტად იმაზე გვწყდება გული, რომ ჯერ ორმოცი დღეც არ გასულა, რაც დედის გარდაცვალებით გამოწვეული სიმწარეც გამოსცადე... დედის, რომელიც თავს გევლებოდა, სწორედ მან გაგაძლებინა და გასულდგმულა ამდენ ხანს.

ავადმყოფობამდე, ვიდრე ლოგინს მიეჯაჭვებოდი, შენ იყავი ყველას სიხარულის და ხალისის მიმნიჭებელი, გიხაროდა სხვისი წარმატება, გიყვარდა სიკეთის გაღება და გვერდში დგომა, მომღიმარი და ხალისიანი ყოველდღიურობას უმარტივებდი საახლობლოსა თუ სამეზობლოს.

ჩვენო ლამაზო ადამიანო, ჩვენო ეკა, ყოველთვის თბილად გაგიხსენებთ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, უფალმა დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

თამაზ ბუთხუზი ოჯახით.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საპაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76